USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
რადიო თავისუფლება
IREX Make a Better World
G-MEDIA პროგრამა ხორციელდება ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით

# რადიო თავისუფლების მედიასკოლა

## გთავაზობთ ერთწლიან სასერტიფიკატო პროგრამას ჟურნალისტიკაში

ერთი წლის განმავლობაში, რადიო თავისუფლების ქართველი და უცხოელი ჟურნალისტები დაგეხმარებიან, გაიაროთ თეორიული და პრაქტიკული მასალით გაჯერებული ინტენსიური კურსი ჟურნალისტიკაში, დაეუფლოთ თანამედროვე ჟურნალისტიკის მაღალ პროფესიულ სტანდარტებს. მულტიმედია პლატფორმაზე დამყარებული სწავლების მეთოდი შესაძლებლობას მოგცემთ, თანამედროვე მედიის ყველა საშუალებაში მუშაობისათვის მოსინჯოთ თქვენი ძალები.

- ახალი მედია, რადიო, გაზეთი, ტელევიზია...
  როგორ გადავაქციოთ სიტყვები სახეებად, ყოველდღიური ცხოვრება – საინტერესო მონათხრობად. როგორ აღმოვაჩინოთ ერთი შეხედვით შეუმჩნეველში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რაც საზოგადოებას გადაწყვეტილების მიღებასა და თავისუფლების ხარისხის ამაღლებაში დაეხმარება!
  - ჩვენ ძალიან ბევრს ვიმუშავებთ, მოვისმენთ ბევრს და დავწერთ კიდევ უფრო მეტს და შევეცდებით, გავარკვიოთ რატომ არის ჟურნალისტის პროფესია ამქვეყნად ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და ამავე დროს, ყველაზე საინტერესო და მომხიბვლელი.
- სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ ისწავლონ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით აღჭურვილ თანამედროვე მულტიმედიურ ნიუსრუმში (MEC), იმუშაონ ჟურნალისტური საქმიანობისათვის საჭირო უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით.
- სწავლების ხანგრძლივობა – 1 აკადემიური წელი (2 სემესტრი).
  სკოლის დამთავრების შემდეგ სტუდენტები მიიღებენ შესაბამის სერტიფიკატს.

ყოველწლიურად 20 სტუდენტი შეძლებს რადიო თავისუფლების სკოლაში სწავლას.
სტუდენტები საგანგებო კონკურსის შედეგად შეირჩევიან.
*შესარჩევი კონკურსი გულისხმობს წერითი სამუშაოს შესრულებასა და გასაუბრებას.*

**მსურველებმა უნდა შეავსონ ფურცლის მეორე გვერდზე წარმოდგენილი განაცხადი.**
**განაცხადების მიღების ბოლო ვადაა - 15 თებერვალი 2012**
**ღია კარის დღე გაიმართება - 7 თებერვალს, 16:00 საათზე IREX-ის ოფისში (მარჯანიშვილის 6)**

სწავლება ფასიანია.
დაფინანსდება ორი სტიპენდია (ერთი საქართველოს რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტებისათვის და ერთი – განსაკუთრებული წარმატებისათვის).

**დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება და შეკითხვების გამოგზავნა**
**შეგიძლიათ რადიო თავისუფლების ვებსაიტზე www.radiotavisupleba.ge**
**და Facebook-ზე**
**შეკითხვები და შევსებული განაცხადი გამოგზავნეთ მისამართზე:**
**tavisupleba.school@gmail.com**

**რადიო თავისუფლების მედიასკოლა –**
**„თავისუფლების“ გამოცდილება თავისუფლების სამსახურში!**

# გარკვევით შეავსეთ
# განაცხადი რადიო თავისუფლების
# მედიასკოლისათვის

*აქ მიამაგრეთ თქვენი ფოტო. ფოტოს უკანა მხარეს მიწერილი უნდა იყოს თქვენი სახელი და გვარი*

**1)** განმცხადებლის სახელი და გვარი

.....

**2)** დაბადების თარიღი და ადგილი -

| | | |
|---|---|---|
| | | |

*დღე /თვე / წელი*

.....

**3)** რა სასწავლო დაწესებულება გაქვთ დამთავრებული, სპეციალობა

.....

**4)** სამუშაო ადგილი და საქმიანობა (თუ მუშაობთ)

.....

**5)** სასწავლო დაწესებულება (თუ სწავლას აგრძელებთ)

.....

**6)** მოქალაქეობა

.....

**7)** მისამართი *(ქვეყანა / ქალაქი / ქუჩა / შენობა / ბინა)*

.....

**8)** ტელეფონი .....

**9)** მობილური .....

**10)** ი-მეილი .....

**11)** ფაქსი .....

**!**

**გთხოვთ, განაცხადს თან დაურთოთ:**

– ორი სარეკომენდაციო წერილი;
– სამოტივაციო წერილი (რატომ დაინტერესდით ჟურნალისტიკით, რას გინდათ მიაღწიოთ ჟურნალისტიკაში, რას ნიშნავს იყო ჟურნალისტი... და ა.შ.) სამოტივაციო წერილი არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას;

– CV (Curriculum Vitae) – მიუთითეთ, რა განათლება გაქვთ მიღებული, ნაშრომები ან პუბლიკაციები, ენების ცოდნა, სამუშაო გამოცდილება;

– დიპლომი და დიპლომის დანართის ასლი (ნიშნების ფურცელი).